პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ სექტემბერი, 2024 წ.

ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) $к^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს შპს ,,მტზ - კომპანის'' (ს/445525478), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 04 სექტემბრის N 01-01-10/8222 წერილით დადგენილი მოთხოვნები.

4. განემარტოს შპს ,,მტზ - კომპანის'' (ს/445525478), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე საპროექტო ობიექტის სიმაღლე განსაზღვროს და გაითვალისწინოს სსიპ ,,სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს'' მიერ დადგენილი პარამეტრების შესაბამისად.

5. განემარტოს შპს ,,მტზ - კომპანის'' (ს/445525478), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე წარმოადგინოს გეგმარებითი ერთეულის არეალში შემავალი მიწის ნაკვეთების ყველა მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების თაობაზე.

6. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება

წარმოდგენილია შპს ,,მტზ - კომპანის'' (ს/445525478) განცხადება ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი N21, 21ა, 23, 25, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩა N16გ, 16დ, პეტრე ბაგრატიონის ქუჩა N133ა, გენერალ ასლან აბაშიძის ჩიხი. საპროექტო მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: 05.06.01.005; 05.26.01.081; 05.26.01.051; 05.26.01.106; 05.26.01.072; 05.26.01.018; 05.26.01.070 და ერთი დაურეგისტრირებელი. გეგმარებითი ერთეული: მიწის ნაკვეთები ს.კ: 05.06.01.005; 05.26.01.081; 05.26.01.051; 05.26.01.106; 05.26.01.072; 05.26.01.018; 05.26.01.070; 05.26.01.097; 05.26.01.096 (ამონაწერის გარეშე) და ერთი დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე.

გეგმარებითი ერთეული – დავალებით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 05.06.01.005; 05.26.01.081; 05.26.01.051; 05.26.01.106; 05.26.01.072; 05.26.01.018; 05.26.01.070; 05.26.01.097; 05.26.01.096 (ამონაწერის გარეშე) და ერთი დაურეგისტრირებელი) გდგ შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები.

საპროექტო მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: 05.06.01.005; 05.26.01.081; 05.26.01.051; 05.26.01.106; 05.26.01.072; 05.26.01.018; 05.26.01.070 და ერთი დაურეგისტრირებელი.

შპს ,,მტზ - კომპანის'' (ს/445525478), ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 04 სექტემბრის N 01-01-10/8222 წერილით დადგენილი მოთხოვნები. იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე საპროექტო ობიექტის სიმაღლე განსაზღვროს და გაითვალისწინოს სსიპ ,,სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს'' მიერ დადგენილი პარამეტრების შესაბამისად. იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე წარმოადგინოს გეგმარებითი ერთეულის არეალში შემავალი მიწის ნაკვეთების ყველა მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების თაობაზე.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**